

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი

19.05.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ჩინჩალაძე - ფონდ საქართველოს განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;

ლილი ბიბილაშვილი - შპს - „HR პროფესიონალთა გილდიას“ პრეზიდენტი;

დავით კიკალაიშვილი - იურიდიული ფირმა „VBAT“-ის მმართველი პარტნიორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ელენე ჯიბლაძე - ცენტრის დირექტორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. მაკა იოსელიანი - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი;

2. ლევან სამადაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვიცე-რექტორი;

3. ჯემალ მაგანია - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

4. ვლადიმერ ბოჟაძე - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე;

5. ირაკლი დოლაბერიძე - სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე;

6. ელისაბედ ბალიაშვილი - შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

7. ლელა თვარაძე - შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი.

6 ხელ/წი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):

თამარ შუდრა;

დავით ბოსტოღანაშვილი;

თეა ნადირაძე;

ანა კლდიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:30 სთ-ზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ 2014 წლის 14 მაისის სხდომაზე საბჭომ დააკმაყოფილა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, ავტორიზაციის საკითხის განხილვის 2014 წლის 19 მაისის სხდომაზე გადადების თაობაზე. თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენელს ეცნობა ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 14 მაისის სხდომაზე.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა თამარ შუდრამ.

1. მატრიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 2013 წელს, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ავტორიზაციის მიზნებისთვის ფლობდა 3245.94 კვ.მ საერთო ფართს (1306.59 - კვ.მ. სასწავლო, ხოლო 1939.35 კვ.მ. - დამხმარე), რომლის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბრის N14 გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტს მისაღები კონტიგენტის ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 750 სტუდენტით.

კონტიგენტის დამატების შემდეგ, უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო მიზნებისათვის დაიმატა 1653.87 კვ.მ. საერთო ფართი, აქედან სასწავლო ფართი - 411.66 კვ.მ., დამხმარე ფართი - 1242.21 კვ.მ, ამასთანავე, აღმასიანის ქ. 19-21 (ბლოკი №2)/ ბერბუთის ქ 10-ზე, სადაც ის ფლობდა 100 კვ მ საერთო ფართს (60კვ.მ სასწავლო და 40 კვ.მ დამხმარე), გააუქმა მფლობელობის უფლება.

1.2 ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის დამატებული ფართი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს (ბუნებრივი განათება, გათბობის ცენტრალური სისტემა, ადაპტირებული გარემო და სხა). სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარი (200 ინდივიდუალური მერხი სკამით) დაწესებულებას ჰქონდა შეძენილი და დასაწყობებული იმავე ფართში.

№	მისამართი	საკადასტრო კოდი	სასწავლო ფართი (კვ.მ)	დამხმარე ფართი (კვ.მ)	სულ ფართი (კვ.მ)
1	თბილისი, ბროსეს ქ. N2	01.15.04.005.006	636.32	142.68	779
2	თბილისი, გორგასალის ქ.101	01.18.09.006.002 01.18.09.006.027	550.27	938.37	1488.64
3	თბილისი, თამარაშვილის ქ.N13	01.10.16.004.160.01.511	-	59.93	59.93
4	ქუთაისი,	03.03.21.216.01.503	-	136.91	136.91

	გოგებაშვილის ქ. N16-18-20				
5	გორის რაიონი, სოფელი ფხვენისი	66.42.15.004	-	474.14	474.14
6	თბილისი, ალიევის ქ. №21/იეთიმ გურჯის ქ. # 7ბ	01.18.03.023.011 01.18.03.023.010	411.66	1242.21	1653.87
7	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01.516	-	19.30 (სარდაფი)	19.30
8	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01.511	-	15 (სარდაფი)	15
9	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01.508	-	12 (სარდაფი)	12
10	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01.515	-	19.47 (სარდაფი)	19.47
11	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.04.501	-	12.96 (სარდაფი)	12.96
12	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01.502	60	68.59	128.59
	სულ:		1658.25	3141.56	4799.81

1.3 დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტს საგანმანათლებლო მიზნებისათვის საკუთრებაში აქვს 846 ერთადგილიანი მერხი შესაბამისი სკამით, 108 სკამი, მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერების საერთო რაოდენობა შეადგენს 225 ერთეულს (მათ შორის საოფისე პროგრამებით უზრუნველყოფილი კლავიატურიანი პლანშეტი-25 ერთეული), ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (ბეჭდური და ელექტრონული) – 5859 ერთეულს. ამასთან, 2013 წლიდან დღემდე, უნივერსიტეტმა დამატებით შეიძინა პრინტერები, პროექტორები, ფოტო და ვიდეოტექნიკა.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძოდ, 4 საბაკალავრო, 10 სამაგისტრო, 1 სადოქტორო პროგრამას. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალით. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის შედეგად.

2.2 კონტიგენტის გაზრდის შემდგომ პერიოდში, უნივერსიტეტმა სამჯერ გამოაცხადა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დაკავების მიზნებისათვის:

ა) 2013 წლის 6 ნოემბერს გამოცხადებულ კონკურში არჩეულ იქნა 3 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი (მიმართულება - კულტურის პოლიტიკა, მათემატიკა და სტატისტიკა, ბიზნესი და ეკონომიკა, მარკეტინგი);

ბ) 2014 14 იანვარს გამოცხადებულ კონკურში არჩეულ იქნა 2 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი (მიმართულება - გენდერის კვლევები, პოლიტიკის ფილოსოფია);

გ) 2014 წლის 20 იანვარს გამოცხადებულ კონკურში არჩეულ იქნა 1 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი (მიმართულება - მიმართულება ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიები);

კონკურსის გამოცხადება მოხდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და Jobs.ge-ზე. ვებ-გვერდზე განთავსებულ განცხადებაში გაწერილი იყო კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადები. აკადემიური თანამდებობების დაკავება განხორციელდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად. კონკურსის წესით დანიშნული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

2.3 დღეისათვის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა - 45, მათ შორის პროფესორი - 11, ასოცირებული პროფესორი - 11, ასისტენტ-პროფესორი - 20, ასისტენტი - 3.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის განთვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა 500 ადგილით.

თამარ შუდრამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მფლობელობაში იყო 4799.81 კვ.მ საერთო და 1658.25 კვ.მ. სასწავლო ფართი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო საფეხურზე სწავლება მიმდინარეობდა დღის საათებში, მაგისტრატურაში კი - დღის მეორე ნახევარში. შესაბამისად, დაწესებულებას საკუთარი რესურსებიდან გამომდინარე 1250 სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რამდენი კომპიუტერი ჰქონდა დაწესებულებას. თამარ შუდრამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ფლობდა 225 კომპიუტერს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1250-ით.

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს.

დავით ბოსტოღანაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარში მითითებული იყო, რომ მიწის ნაკვეთის საერთო ფართი შეადგენდა 34949 კვ.მ, რაც დასტურდებოდა შესაბამისი ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან. გადამოწმებისას დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, გაფორმებულია სარგებლობის ხელშეკრულებები, მოსარგებლის არსებობის ვადით. საჯარო რეესტრის ამონაწერებში მითითებული არ არის შენობა-ნაგებობების საერთო ფართი. დაწესებულების სასარგებლო ფართის დათვლა მოხდა შიდა აზომვითი ნახაზებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე. სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება 01.14.07.008.086 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N 1, I-II სართულები. სადაც სასწავლო და დამხმარე ფართი შეადგენს 2000 კვ.მ-ს. დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო მიზნებისათვის ასევე ჩაითვალა ჩოგბურთის კორტები, მინი ფეხბურთის მოედანი და დიდი ფეხბურთის მოედანი, მძლეოსნობის ბილიკებით. დავით ბოსტოღანაშვილმა დამატებით განმარტა, რომ სააუდიტორო ფართი შეადგენდა - 850 კვ.მ.

ძირითადი სასწავლო შენობის პირველ და მეორე სართულებზე განთავსებულია 17 სასწავლო აუდიტორია, აქედან 1 კომპიუტერული კლასი (25 კომპიუტერით). სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო მერხებით, სკამებით, მაგიდებით, დაფებით, გათბობა-კონდიციონერების სისტემით. სასწავლო პროგრამების სრულფასოვნად უზრუნველყოფისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება შპს - პეგასთან, რომლითაც გათვალისწინებულია სამედიცინო - სარეაბილიტაციო და სპორტული, მათ შორის კალათბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის, ცურვის, კრივის, ტანვარჯიშის, ტყვიის სროლის, მშვილდოსნობისა და ტრენაჟორის ბაზებით და სხვა მომსახურებით სარგებლობა. (2014 08.05 N 33, მოქმედების ვადა 2019 წლის 1 სექტემბრამდე) დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები თითქმის ყველა სახეობის ეროვნული სპორტის ფედერაციებთან, ასევე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და შპს - სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელშიც გათვალისწინებულია დაწესებულების სტუდენტების გადამზადებისა და გაცვლითი პროგრამების შემუშავება და განხორციელება. გაფორმებულია სხვა მემორანდუმებიც. დამატებით, დაწესებულების ბიუჯეტის შესაბამისად, იგეგმება სპორტული ინვენტარის შეძენაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვლადიმერ ბოჭაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა-ნაგებობა იყო 4 სართულიანი, რომლის 2 სართული იყო გარემონტებული და სასწავლო მიზნებისთვის გამოსადეგი. შესაბამისად, კითხვარში და ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო მხოლოდ აღნიშნული 2 სართული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელი იქნებოდა დამატებით რამოდენიმე სპორტული დარბაზის გარემონტება და გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის. დავით ბოსტოღანაშვილმა დაადასტურა, რომ ვიზიტის პერიოდში გარემონტებული იყო შენობის მხოლოდ 2 სართული.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რამდენი პროგრამის გახორციელება სურდა დაწესებულებას. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მათი სურვილი იყო განეხორციელებინათ შემდეგი პროგრამები: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მიმართულება - მწვრთნელი სპორტის სახეობებში), ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი), ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავდა 4000-მდე წიგნად ერთეულს. დაწესებულებას გააჩნდა წიგნადი ფონდის აღმწერი საინვენტარიზაციო წიგნი. არსებობდა ელექტრონული და ქაღალდური (ანბანური და სისტემური) კატალოგები. ექსპერტების მიერ მოთხოვნილი ყველა წიგნი აღმოჩნდა ადგილზე. ასევე დაწესებულებაში იყო უზრუნველყოფილი საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. 2014 წლის 12 მარტს, დაწესებულებასა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას შორის გაფორმდა ხელშეკრულება №19, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას ეძლევა უფლება გამოიყენოს შემდეგი საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსი EBSCOHost.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამების განხორციელებისთვის გაფორმებული იყო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სპორტულ ცენტრ „არენა 1“-თან და „არენა 2“-თან.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, იყო თუ არა საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილი შესაბამისი კვალიფიციის მქონე ადამიანური რესურსით. რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა სტუდენტებს აერჩიათ სხვადასხვა სპორტული მიმართულებები, რომლებსაც სჭირდებოდა სათანადო ადამიანური რესურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი კურსის საგნები იყო საერთო საუნივერსიტეტი, რომელსაც ყველა სტუდენტი გადიოდა, მე-2 კურსიდან კი საგნების არჩევა ხდებოდა სპეციალიზაციის მიხედვით. შესაბამისად, ყველა საგანი უზრუნველყოფილი იყო კვალიფიციური ადამიანური რესურსით. ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას კონკურსის შედეგების საფუძველზე შერჩეული ჰყავდა: 19 პროფესორი, 37 ასოცირებული პროფესორი, 34 ასისტენტ-პროფესორი და 5 ასისტენტი. შესაბამისად დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობას იკავებდა 95 ადამიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205304357) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

3. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გაცემული მინდობილობა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა, თეა ნადირაძემ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 საბაკალავრო პროგრამების მიზანია საქართველოს ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე მსოფლიო რელიგიების შესახებ ცოდნის გადაცემა. პროგრამით გათვალისწინებული საგნებიდან აღნიშნული შედეგი უნდა მიიღწეოდეს სასწავლო კურსით "საქართველოს ისტორია, რელიგია და კულტურა" (5 კრედიტი), რომლის მიზანი და შედეგი ითვალისწინებს საქართველოს ისტორიის მხოლოდ გიორგი ბრწყინვალისა და თამარ მეფის ხანას. სილაბუსით განსაზღვრული მიზნები, თემატიკა, შედეგების ერთობლიობა არ შეესაბამება საგნის დასახელებას. მაგალითად: სასწავლო კურსის დასახელებაში აღნიშნულია "საქართველოს ისტორია", რაც ბუნებრივია არ ნიშნავს მაგალითად მხოლოდ გიორგი ბრწყინვალესა და თამარ მეფის ხანის სწავლებას;

1.2 სილაბუსების გრაფებში განსაზღვრული შეფასების ფორმები არ არის ერთმანეთთან შესაბამისი, მაგალითად: სასწავლო კურსების "საქართველოს ისტორია, რელიგია და კულტურა", "პრეკალკულუსი". "კალკულუსი", "აკადემიური წერა", "ინფორმაციული ტექნოლოგიები" სილაბუსების გრაფაში "შეფასების კრიტერიუმები" დასკვნით გამოცდაზე მითითებულია, რომ "ტარდება წერითი ფორმით. ფასდება ტესტირებით და 4 დავალების შესრულებით" (დავალება რას მოიცავს არსად არ არის განსაზღვრული). ამავე სილაბუსის სასწავლო გეგმაში, სადაც სასწავლო კვირათა მიხედვით გაწერილია თემატიკა და გამოცდები, დასკვნით გამოცდაზე მითითებულია შემდეგი - "მთლიანი პროგრამის საკითხების საფუძველზე შედგენილი შემაჯამებელი ბილეთები". მართალია შემაჯამებელი ბილეთების დეფინიცია არ არის განსაზღვრული, თუმცა ცხადია რომ ის არ გახლავთ ტესტი, ასევე შესაძლებელია შემაჯამებელი ბილეთებით შეფასება მოხდეს ზეპირი გამოკითხვით და არა წერილობით. სილაბუსში გაწერილი შეფასების ფორმები და მეთოდოლოგია არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში, შესაბამისად სტრუქტურა არათანმიმდევრულია;

1.3 საბაკალავრო პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო კურსში "აკადემიური წერა" განსაზღვრულია თემატიკა აკადემიური წერის, სარეფერატო და საბაკალავრო მიზნებისა და ამოცანების, თეზისების, სამეცნიერო ინტერესების, საკითხებისა თემების

ირგვლივ დავალებების შესრულება, თუმცა მართლწერის საკითხების წესების სწავლება და სავარჯიშოების შესრულება დაგეგმილია მე-13 კვირიდან. სილაბუსით განსაზღვრული თემატიკა, სილაბუსის სტრუქტურა არათანმიმდევრულია;

1.4 პროგრამების სილაბუსებში განსაზღვრული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ერთგვაროვანია, ასევე შეფასების მეთოდოლოგია ვერ უზრუნველყოფს დაგეგმილი და მიღწეული შედეგების რეალურად მიღწევის შეფასებას. მაგალითად: სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები 1“ შედეგებია – ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – „სტუდენტს შეუძლია: ოპერაციული სისტემა Mikrossoft Windows - თან მუშაობა; ტექსტური რედაქტორ Mikrossoft Word თან მუშაობა; გლობალურ ქსელში ინფორაციის მოძიება, ელექტრონული ფოსტის გამოყენება;“ ამავე საგნის შეფასების ფორმებად გამოყენებული „აქტივობა სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს“; „რეფერატის წარდგენა“; შუალედური გამოცდა – შეფასება ტარდება ზეპირი ფორმით, სტუდენტის შეფასება ხდება ერთი საკითხით განვლილი თეორიული მასალიდან და ორი დავალების შესრულებით“; „დასკვნითი გამოცდა – ტარდება ზეპირი ფორმით. ფასდება ტესტირებით (20 ქულა, ტესტი მოიცავს 20 შეკითვას, ერთი სწორად გადაჭრილი კითხვა ფასდება – 1ქულით) და 4 დავალების შერულებით, თითოეული ფასდება 5 ქულით (20 ქულა). სასწავლო კურსში "პრეკალკულუსი" შუალედური შეფასების ერთერთი მეთოდია სტუდენტის მიერ მომზადებული პროექტის პრეზენტაცია. თუ რას ითვალისწინებს პროექტი ამის შესახებ სილაბუსში არაფერია აღნიშნული, გაწერილია მხოლოდ შეფასების კრიტერიუმები - "შინაარსი - მოწმდება: საკითხის აქტუალობა, ავტორის მსჯელობის უნარი; მონაცემთა სარწმუნოობა - მოწმდება: მონაცემთა სისწორე, წყარო და გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის ნიშნები...". საგნის სპეციფიკიდან, მიზნებიდან (შემდეგი საკითხების დაუფლება: "პრეკალკულუსის სტრუქტურა და არსი, არითმეტიკული გამოთვლები; უტოლობები; ალგებრული ამოცანები; მიმდევრობები და პროგრესები; ტრიგონომეტრული საკითხები; ლოგარითმული განტოლებები და უტოლობები"... და სხვა), გაწერილი საკითხებიდან და შედეგებიდან გამომდინარე აღნიშნული შეფასების მეთოდოლოგია არაადეკვატურია და არ ემსახურება ცოდნის რეალურ შეფასებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი ბრძანება N3 "უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად - "კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად";

1.5 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში მითითებული პროგრამის ფარგლებში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა, თუმცა შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში სტუდენტის მიერ შესასრულებელი კონკრეტული კომპონენტები პროგრამაში არ არის წარმოდგენილი, ასევე არ არის გაწერილი შედეგები, რომლის საფუძველი იქნებოდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოში განსაზღვრული კომპეტენციები;

1.6 თითოეული პროგრამით სწავლების მეთოდებად განსაზღვრულია - "დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა" და სხვა, რომლებიც გახლავთ სწავლა/სწავლების მეთოდებისას გამოსაყენებელი ინსტრუმენტები. სილაბუსთა სასწავლო გეგმაში "კვირეულ დატვირთვაში" მითითებულია, მაგალითად - ლექცია, სამუშაო ჯგუფში

მუშაობა. რომელ მათგანში გამოიყენება სილაბუსებში დასახელებული და ეგრეთ წოდებული სწავლების მეთოდები ეს არ არის განსაზღვრული;

1.7 ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია დარგობრივ და ზოგად, ექვს კომპეტენციებად. პროგრამით განსაზღვრულ არჩევით თითოეულ მოდულს გააჩნია შესაბამისი და ცალკე, დამოუკიდებლად გაწერილი შედეგები. საბაკალავრო პროგრამების შედეგების "ცოდნა და გაცნობიერებაში" განსაზღვრულია შემდეგი - „სტუდენტს აქვს შესაბამისი ცოდნა თავისუფალ მოდულში შემავალი სასწავლო კურსების შესახებ“. პროგრამით შეთავაზებულია თავისუფალი მოდულის ფარგლებში 80 კრედიტიდან 20 კრედიტის მოცულობის საგნების გავლა, რაც ნიშნავს რომ სტუდენტს არ ექნება ცოდნა თავისუფალი მოდულით განსაზღვრული ყველა საგნის შესახებ. თავისუფალი კომპონენტებიდან მიღებული ცოდნა და მიღწეული შედეგები თითოეული სტუდენტისთვის იქნება ინდივიდუალური;

1.8 „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამის შედეგებში გამოიჯნულია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები. მაგალითად: დარგობრივ კომპეტენციებს მიაკუთვნებენ ზოგად კომპეტენციას, რომელიც გაწერილია ცოდნა და გაცნობიერებაში - "აქვს შესაბამისი ცოდნა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე მსოფლიო რელიგიების შესახებ"... "მიღებული აქვს ფართო ცოდნა ქართული ენის მართლწერისა და მართლმეტყველების (წერილობითი ტექსტის შექმნა) შესახებ"; პროგრამაში "დასკვნითი უნარი" განსაზღვრულია როგორც ზოგადი კომპეტენცია, თუმცა მასში აღწერილია სტუდენტის მიერ მისაღწევი მხოლოდ დარგობრივი უნარები. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო განსაზღვრავს ექვს კომპეტენციას და მათში დარგობრივ და ზოგადი უნარების აღწერილობას. აღნიშნული პროგრამის შედეგები კი ამ აღწერილობის შესაბამისი არ არის;

1.9 შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაციები და სამუშაო გამოცდილება, მათ შორის გამოიკვეთა შემდეგი საკითხი: ასოცირებული პროფესორი თამარ ჩიხლაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფრანგული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში კითხულობს ორ საგანს: 1. ანტიკური ლიტერატურის ისტორია და 2. შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია. ამ საგნებში თამარ ჩიხლაძეს არ უდასტურდება პედაგოგიური გამოცდილება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების რექტორის 2013 წლის 21 იანვრის №-20 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. აღნიშნულ გეგმებში ცვლილებები შევიდა რექტორის 2013 წლის 18 ოქტომბრის №-43 ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები თითქმის იდენტურია, კერძოდ ერთწლიან გეგმაში მოცემულია: „2014–2015 სასწავლო წელს დამხმარე უნივერსიტეტის პერსონალისთვის არსებული მატერიალური რესურსების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება და ინსტრუქტაჟის ჩატარება მათი გამოყენების თაობაზე; 2014–2015 სასწავლო წლიდან აკადემიური პერსონალის შეფასებისა და რეიტინგის სისტემის შემუშავება; 2014–2015 სასწავლო წელს წარმატებულ სტუდენტებზე სტიპენდიების გაცემა; 2015 წლიდან მასწავლებელთა განვითარებისა და გადამზადების ცენტრის ამუშავება; 2015 წლიდან მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების დაწყება.“

ექვსწლიან გეგმაში მოცემულია – „2014–2015 სასწავლო წლიდან 2020 წლის ჩათვლით დამხმარე უნივერსიტეტის პერსონალისთვის არსებული მატერიალური

რესურსების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება და ინსტრუქტაჟის ჩატარება მათი გამოყენების თაობაზე; 2014–2015 სასწავლო წლიდან აკადემიური პერსონალის შეფასებისა და რეიტინგის სისტემის შემუშავება; 2014–2015 სასწავლო წლიდან 2020 წლის ჩათვლით წარმატებულ სტუდენტებზე სტიპენდიების გაცემა; 2015 წლიდან მასწავლებელთა განვითარებისა და გადამზადების ცენტრის ამუშავება; 2014 წლიდან მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების დაწყება.“

შესაბამისად, დაწესებულებას სრულყოფილად არა აქვს გააზრებული ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმების მნიშვნელობა დაწესებულების განვითარების პროცესში.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 2012 წლის 3 ოქტომბერს რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია "წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი", რომელშიც განსაზღვრულია შემდეგი პირობები: დაწესებულებაში იქმნება აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლების მიზნით საკონკურსო კომისია (სულ მცირე 3 წევრი); აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, საჯარო, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით; კონკურსი ცხადდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე რექტორის ბრძანებით განსაზღვრული კონკურსის წესისა და ვადების დაცვით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი; აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნისათვის საჭირო მოთხოვნები; საკონკურსო კომისიის დისკრეციული უფლებამოსილება; გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მისაღები კრიტერიუმები.

დაწესებულების მიერ ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული ვადა, რომელიც გულისხმობს საბუთების მიღებამდე ერთი თვით ადრე გამოქვეყნებას, დაცულია - 2012 წლის 19 ოქტომბერს დაწესებულების რექტორის მიერ გამოცხადდა ბრძანება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ. ინფორმირებულობის მიზნით კონკურსი გამოცხადდა გაზეთ კვირის პალიტრაში (2012 წელი 22-28 ოქტომბერი). განცხადებაში მითითებული იყო შემდეგი სახის ინფორმაცია: სრული, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორების ვაკანსიები მიმართულებებისა და ადგილების რაოდენობის მითითებით, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, საკონკურსო პირობები, გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მისაღები კრიტერიუმები, დოკუმენტების მიღებისათვის საჭირო მისამართი და მიღების ვადები;

რექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებაში კონკურსანტთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხაშია - "საკონკურსო განცხადება", "ნაბეჭდი/ელექტრონული ფორმით საგანმანათლებლო დისციპლინის პროგრამა სილაბუსი/სილაბუსები", ხოლო გაზეთში გამოცხადებულ კონკურსის ტექსტში "საკონკურსო განაცხადი" არ არის მოთხოვნილი, ხოლო მეორე შემთხვევაში მითითებულია "სილაბუსი (ელექტრონული ვერსია)". საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას მიიღებდა წარმოდგენილი დოკუმენტების (დიპლომების, კვალიფიკაციების) მიხედვით;

3.2 რაც შეეხება სილაბუსებს -

2012 წლის 4 დეკემბერის საკონკურსო კომისიის ოქმი №1 განსაზღვრავს კონკურსანტთა რაოდენობას - 61 განაცხადია, საკონკურსო კომისიის წევრებმა ნანაკაციტაძემ და გოჩა ოჩიგავამ აღნიშნეს, რომ "კონკურსანტების არჩევისას ყურადღება უნდა

მიექცეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, პედაგოგიურ გამოცდილებას, სამეცნიერო ნაშრომების და პუბლიკაციების რაოდენობას, უცხო ენებისა და საოფისე პროგრამების ცოდნას." საკონკურსო კომისიამ დაადგინა: "საფუძვლიანად იქნა შესწავლილი კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალები", აქვე გახლავთ ჩამონათვალი ძირითადი კრიტერიუმების შესახებ სადაც მითითებულია "დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა", რაც არ დასტურდება, რადგან განმცხადებელთა მიერ სილაბუსის წარმოდგენა ბეჭდური ან ელექტრონული სახით საკონკურსო მასალებითა და პირადი საქმეებით არ დასტურდება.

საკონკურსო კომისიის 7 დეკემბრის №2 ოქმით კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საფუძვლიანად შეისწავლა წარმოდგენილი განცხადებები და გაუწია რეკომენდაცია შემდეგ პირებს. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტთა ნუსხაში (საკონკურსო მასალებსა და პირად საქმეებში) წარმოდგენილია კონკურსანტთა საკონკურსო განაცხადებები, თუმცა განცხადებებში არ არის მითითებული თუ რომელი მიმართულებით სურთ აკადემიური თანამდებობის დაკავება. შესაბამისად საკონკურსო კომისიის მიერ საფუძვლიანად შესწავლისას უნდა გამოვლენილიყო ხარვეზი, რომელიც აღნიშნავდა კონკურსანტების მიერ მომხდარიყო დაზუსტება თუ რომელ მიმართულებაზე ქონდათ შემოტანილი განაცხადი, რადგან კონკურსი მიმართულებების მიხედვით იყო გამოცხადებული. არც ოქმებით და არც რაიმე სხვა მასალით არ დასტურდება, დადგენილი კრიტერიუმებით, თითოეული კონკურსანტის შეფასების დროს გავლილი პროცედურა;

4 დეკემბრის ოქმით №1 საკონკურსო კომისიის წინაშე წარდგენილ იქნა კონკურსანტთა სია. 7 დეკემბერს ოქმით №2 განისაზღვრა აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის რეკომენდირებულ პირთა სია, იმავე დღეს - 7 დეკემბერს აკადემიური საბჭოს №3 ოქმში აღნიშნულია, რომ გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე შემოსული 61 განცხადებიდან, ერთი კვირის (რეალურად კი 4 დეკემბრიდან 7 დეკემბრამდე) საფუძვლიანად შესწავლის შედეგად საკონკურსო კომისიამ 53 კონკურსანტი შეარჩია, ამათგან 47 - მიეცა რეკომენდაცია აკადემიურ თანამდებობების დაკავების, მათ შორის: 13 სრული პროფესორი; 26 ასოცირებული პროფესორი; 8 - ასისტენტ-პროფესორი. არ არის ცნობილი თუ რომელი კრიტერიუმები არ დააკმაყოფილეს არარეკომენდირებულმა პირებმა და რა საფუძვლით ეთქვათ უარი.

ზემოაღნიშნული საკითხები მიუთითებს, აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესის არაგამჭვირვალობას;

3.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია და შეტანილია ცვლილებები შრომით კოდექსში შესული წინა წლის ცვლილებების თანახმად. დაწესებულების სამართლებრივ აქტში „წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ - პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცების შესახებ“ აღნიშნულია, რომ სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორად შერჩეული კანდიდატები აირჩევიან ოთხი წლის ვადით (მე-8, მე-9, მე-10 პუნქტი). კონკურსი ჩატარებულია 2012 წლის დეკემბერში, შესაბამისად მათ აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა ეწურებათ 2016 წელს. მიუხედავად შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ნებისა, „უმაღლესი განათლების შესახებ კანონი“ და ზემოთ აღნიშნული დოკუმენტში განსაზღვრული ნორმა გვეუბნება, რომ 4 წლის ვადის გასვლის შემდეგ უნდა ჩატარდეს ახალი კონკურსი. აღნიშნულის გათვალისწინებით საბაკალავრო პროგრამები, აკადემიური პერსონალით, მთელი ციკლის განმავლობაში არ არის უზრუნველყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტთა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს წარმოუდგინა შპს წმიდა გრიგოლ ფერაპის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მომზადებული წერილობითი დოკუმენტი დანართებთან ერთად.

წარმოგიდგინებ აღნიშნული წერილის შინაარსს:

სასწავლო უნივერსიტეტი ავტორიზაციისათვის მზადებაში ხელმძღვანელობდა „უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებითა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N188 ბრძანებით (07.04.2011 წ. ქ. თბილისი), რომელიც ეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტმა დასკვნა წარმოუდგინა საბჭოს ისე, თითქოს საბაკალავრო პროგრამების „ბიზნესის ადმინისტრირება“ და „ინგლისური ფილოლოგია“ ერთადერთი მიზანია საქართველოს ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე მსოფლიო რელიგიების შესახებ ცოდნის გადაცემა. მიუთითებს სილაბუსს „საქართველოს ისტორია, რელიგია და კულტურა“, სასწავლო კურსის მიზნიდან და შედეგიდან მხოლოდ თამარისა და გიორგი ბრწყინვალის ხანაზე ამახვილებს ყურადღებას და დასძენს, რომ საქართველოს ისტორია არ არის მხოლოდ თამარის და გიორგი ბრწყინვალის ეპოქა. ექსპერტმა არ მიუთითა, რომ სილაბუსის თემატიკაში შედის ვახტანგ გორგასალის ხანა, არაბთა ბატონობა საქართველოში, დავით აღმაშენებლის ეპოქა, ბაგრატ მესამე და საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნა, ამ ეპოქებისათვის დამახასიათებელი კულტურა და მსოფლიო რელიგიები. ექსპერტი დასკვნაში წერს სილაბუსით გათვალისწინებული მიზნები, თემატიკა და შედეგების ერთობლიობა არ შეესაბამება საგნის დასახელებას, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ამის დასტურია ის თემატიკა, რაც გაწერილია სილაბუსში. აქვე დავძენთ რომ ავტორიზაციის ექსპერტი თავს უფლებას აძლევს შეიჭრას აკრედიტაციის ექსპერტის უფლება-მოვალეობებში. (იხილეთ წარმოდგენილი დანართი 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, დანართი 2 - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, დანართი 3 - საქართველოს რელიგია, ისტორია და კულტურა სილაბუსის 5,6,7,8 გვერდები.);

სასწავლო უნივერსიტეტის მისიაში ხაზგასმულია, რომ „უნივერსიტეტის მისიაა კურსდამთავრებული ჩამოაყალიბოს ევროპული აზროვნების სრულყოფილ მოქალაქედ და სპეციალისტად, რომელმაც იცის როგორც ქართული, ისე ევროპული ფასეულობების არსი...“ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც განხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ და ევროპულ ფასეულობებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე იქნება ორიენტირებული, რადგან მიგვაჩნია რომ ქრისტიანობა და ქართული კულტურა საქართველოს ისტორიასთან ერთად ქართული ფასეულობების განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამას ითვალისწინებს დაწესებულების მისია და მისასაღმებელია, რომ ექსპერტს მისიასთან დაკავშირებით არ გამოუთქვამს შენიშვნა;

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით ექსპერტი აყალიბებს კითხვას, თუ რა არის დასკვნითი გამოცდის შემაჯამებელი ბილეთების დეფინიცია, რასაც თვითონვე განმარტავს დასკვნაში: „დასკვნით გამოცდაზე მითითებულია შემდეგი: მთლიანი პროგრამის

საკითხების საფუძველზე შედგენილი შემაჯამებელი ბილეთები“. დასკვნითი გამოცდა მთლიანი პროგრამის საკითხების საფუძველზე შედგენილი შემაჯამებელი ბილეთები (ტესტი, 4 დავალება). შემდეგ ექსპერტი მხოლოდ ვარაუდს ეყრდნობა და ამ ვარაუდის საფუძველზე დასკვნაში წერს: მართალია დასკვნითი გამოცდა ტარდება წერიითი ფორმით და ფასდება ტესტირებით და 4 დავალების შესრულებით, მაგრამ ეს ცხადია არ არის ტესტი და შეიძლება იყოს ზეპირი გამოცდა, და ამიტომ შეფასების ფორმები და მეთოდოლოგია თანხვედრაში არ არის და სტრუქტურა (რისი სტრუქტურა, გაურკვეველია რას გულისხმობს) არათანმიმდევრულია. ვფიქრობთ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უნდა იყოს ნათელი და თანმიმდევრული. ასევე გასათვალისწინებელია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 07.04.2011წ. №188 ბრძანება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ, რომლის მე-11 მუხლი შეეხება სილაბუსის სტრუქტურას. აღნიშნულ სტრუქტურას სრულად შეესაბამება დაწესებულების სილაბუსი. ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად სილაბუსში მიეთითება:

ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;
ბ) ავტორი;
გ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები;
დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;

ე) დაშვების წინაპირობები;
ვ) სწავლის შედეგები;
ზ) შინაარსი;
თ) სწავლების/სწავლის მეთოდები;
ი) შეფასების კრიტერიუმები;
კ) ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) შეიძლება მოიცავდეს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
გ) სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებით ან საწარმოო პრაქტიკას;
დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
ე) სასწავლო-სამეცნიერო (მაგალითად: საბაკალავრო, სამაგისტრო, სასემინარო ან

სადოქტორო)

ნაშრომზე მუშაობას;
ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას;
ზ) კლინიკაში მუშაობას;
თ) შემოქმედებით პროექტზე მუშაობას;
ი) სხვა დატვირთვას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები.

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული ელემენტის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს კომპონენტის დამლევისათვის გათვალისწინებული ქულა. აღნიშნულით დგინდება დასკვნით გამოცდაზე დაშვების მიზანშეწონილობა. დაწესებულება არ იზღუდება, დაადგინოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების დამატებითი პირობები, მაგალითად, ცალკეული შუალედური კომპონენტის

წარმატებით დაძლევა ან სხვა პირობის დაკმაყოფილება აქციოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

საგანმანათლებლო პროგრამაში დგინდება ცალკეული საგნისა თუ სხვა კომპონენტის არჩევის წინაპირობები. ერთმანეთზე დამოკიდებული თუ ერთმანეთთან დაკავშირებული საგნები შესაძლებელია და სასურველია, გაერთიანდეს მოდულში. ცენტრალიზებული შეფასების სისტემა ემსახურება სახელმწიფოში ერთგვაროვანი და თავსებადი სისტემის არსებობას. დაწესებულება უფლებამოსილია, დაადგინოს განსხვავებული შეფასების სისტემა და განსაზღვროს მისი საერთო შეფასების სისტემასთან მიმართება. ამიტომაც წარმომადგენელი არ დაეთანხმა ვარაუდის საფუძველზე გამოთქმულ შენიშვნებს რაც მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს. (იხილეთ წარმოდგენილი დანართი 3; საქართველოს რელიგია, ისტორია და კულტურა, დანართი 4- პრეკალკულუსი, დანართი 5 - კალკულუსი, დანართი 6 - აკადემიური წერა და დანართი 7 - ინფორმაციული ტექნოლოგიები 1, დანართი 8 - ინფორმაციული ტექნოლოგიები 2 - სილაბუსები);

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სავარაუდოდ ექსპერტებს აკადემიური წერა მხოლოდ მართლწერის საკითხების წესების შესწავლა გონივრულად და არა სამეცნიერო ნაშრომის ფორმირების პრინციპები და სტილი. მართლწერის საკითხების წესები სტუდენტებს ნასწავლი აქვთ საჯარო სკოლებში (ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ამ საკითხებს). სასწავლო კურსში „აკადემიური წერა“ მართლწერის საკითხებში იგულისხმება ფუნქციური სტილისტიკა, სამეცნიერო სტილის ლექსიკა და ორთოგრაფია და ამიტომ ვერანაირად ვერ დავეთანხმებით ექსპერტებს თითქოს სილაბუსით განსაზღვრული თემატიკა და სილაბუსის სტრუქტურა არათანმიმდევრულია. (იხილეთ - დანართი 6 - აკადემიური წერის სილაბუსი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენა და ლიტერატურის სტანდარტი კარი 3 თავი 11);

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანება (2007 წლის 5 იანვარი) განსაზღვრავს: სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა), კრედიტების განაწილებას და სტუდენტის მიღწევების შეფასებას. ამავე აქტის მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტი, რომელსაც მიუთითებენ ექსპერტები ეხება კრედიტთა განაწილებას სხვადასხვა კომპონენტთა (მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.) შორის სტუდენტთა დატვირთვის რეალურ შეფასებას და არა სტუდენტის მიღწევის შეფასებას. არცერთ მითითებულ სილაბუსში არაა მინისტრის მე-3 ბრძანებით განსაზღვრული სტუდენტის მიღწევების შეფასება დარღვეული. (ბრძანებაში სტუდენტთა მიღწევების შეფასების შესახებ მითითებულია: დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: შუალედურ შეფასებებს; დასკვნითი გამოცდის შეფასებას; სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია; დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით). მაშასადამე, სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტის მიღწევების (ცოდნის) შეფასების სისტემა არ დაურღვევია. სილაბუსებში პრეკალკულუსი და კალკულუსის სილაბუსის მე-13 კვირაში სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს მეორე საათზე ხდება საპრეზენტაციო თემების არჩევა და მე-17 კვირაში პროექტის პრეზენტაცია. სილაბუსის პირველ კვირას ერთი საათი დათმობილი აქვს სილაბუსის გაცნობას. (იხილეთ წარმოდგენილი დანართი 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა გვ.20, დანართი 4 - პრეკალკულუსი, დანართი 5 -

კალკულუსი, დანართი 7 - ინფორმაციული ტექნოლოგიები 1);

1.5 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში მითითებულია პროგრამის ფარგლებში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა და არა ის, რომ სტუდენტს აუცილებლად მიენიჭება შუალედური კვალიფიკაცია. საჭიროების შემთხვევაში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა უნდა განიხილოს სასწავლო უნივერსიტეტმა და სასწავლო დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტების თანახმად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები). „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3³⁶ ნაწილის თანახმად შუალედური კვალიფიკაცია – ეს არის კვალიფიკაცია, რომელიც სტუდენტს ენიჭება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად; ამავე კანონის 46¹ მუხლის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის შემთხვევაში მიანიჭოს სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია. შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.) (იხილეთ დანართი 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, გვ.22.);

1.6 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა წერილში მიუთითა, რომ გაუგებარია ტერმინი სილაბუსთა სასწავლო გეგმა. ლექციაზე დასწრება და სამუშაო ჯგუფში მუშაობა სტუდენტის სასწავლო საქმიანობაა. ლექცია და სამუშაო ჯგუფში მუშაობა სწავლების ფორმატია. ამ ფორმატში სხვადასხვა თემატიკის განხილვის დროს გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები. სილაბუსებში მითითებულია სწავლების მეთოდები. ვისაც წაუკითხავს სალექციო კურსი, მან კარგად იცის რომ, სხვადასხვა თემატიკა სხვადასხვა სწავლის მეთოდს საჭიროებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 (2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ განსაზღვრავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა):

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა)

1. სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) მუშაობას;

ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას.

1.7 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში (20 კრედიტი) ფართო არჩევანს. სტუდენტმა 80 კრედიტიდან უნდა აირჩიოს 20 კრედიტი და ბუნებრივია მისი არჩევანის შესაბამისი კომპეტენციები გამოუმუშავდება მას. სწორედ ეს იგულისხმება პროგრამის შესაბამისი მოდულის შედეგებში. ექსპერტმა მიიღო შესაბამისი განმარტება და მანც არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას.

1.8 ხარვეზზე დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ ექსპერტი დასკვნაში წერდა, რომ „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამაში გამიჯნულია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. იხ. დასკვნა (1.3). და შემდეგ მიუთითებს, რომ დარგობრივ კომპეტენციას მიაკუთვნებენ ზოგად კომპეტენციას. მაგ. დასკვნითი უნარი განსაზღვრულია, როგორც ზოგადი კომპეტენცია. თუმცა დასძენს, რომ მასში აღწერილია დარგობრივი კომპეტენცია. ამ პუნქტში დასკვნის ბოლო წინადადებაა პროგრამის შედეგები აღწერილობის შესაბამისი არ არის. ამ შემთხვევაში გაუგებარია ექსპერტის მოსაზრება: იწყებს არის და ამთავრებს არ არის. ამიტომაც არ ვეთანხმებით ექსპერტის დასკვნას, მით უფრო რომ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით წინა ვიზიტის დროს ავტორიზაციის ექსპერტებს შენიშვნა არ ქონიათ (ბოსტოლანაშვილი, კაჭარავა და გვიანიშვილი). (იხილეთ დანართი 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, დანართი 9 - 16.05.2013წ. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ასლი გვ. 12,13.);

2.1 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულებას სრულყოფილად არ აქვს გააზრებული ერთწლიანი და ექვს წლიანი სამოქმედო გეგმების მნიშვნელობა. არადა კანონმდებლის მიხედვით 2010 წლის 1 ოქტომბერი ბრძანება №99/ნ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები მუხლი 10. ნ) შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. (დანართი 9 - 16.05.2013წ. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ასლი გვ.21,22.);

1.9 ხარვეზზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N188 ბრძანების (07.04.2011) 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს; ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით. დასკვნაში წერია რომ „ანტიკური ლიტერატურის ისტორიას“ და შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორიას“ ასწავლის ქალბატონი ჩიხლაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს თსუ-ს ფრანგული ენა და ლიტერატურა. მას არ უდასტურებს ექსპერტი ამ საგნებში პედაგოგიურ გამოცდილებას. ვერ დავეთანხმებით ექსპერტს ჩიხლაძის შეფასებაში. ანტიკური ლიტერატურის ისტორია და საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია (მოიცავს საფრანგეთს ინგლისს, გერმანიას, საბერძნეთს, ესპანეთს და ა.შ) ისწავლება და ისწავლებოდა თსუ-ში როგორც ფრანგული, ასევე, გერმანული, ქართული და ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებებზე, კიდევ, ხშირად საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს უწევს ახალი

საგნის მომზადება და წაკითხვა ახალი სასწავლო წლისთვის. რა ვქნათ, არ ვანდოთ მათ საგნის მომზადება/წაკითხვა იმიტომ, რომ ამ ახალ საგანში არ უდასტურდებათ პედაგოგიური გამოცდილება. მითუმეტეს, ჩიხლაძეს არის ფილოლოგიის დოქტორი. ასევე მას გავლილი აქვს კემბრიჯის უნივერსიტეტის ESOL (ინგლისური უცხოელთათვის) სამი საფეხური პირველი საფეხური მოიცავს გავითილის დაგეგმვა და რესურსების გამოყენება ენის სწავლების დროს, მეორე საფეხური მოიცავს სწავლისა და სწავლების პროცესის მართვა, მესამე საფეხური მოიცავს ენა და ფონი ენის სწავლისა და სწავლების დროს. (იხილეთ - დანართი 10, სერტიფიკატის ასლები,);

რაც შეეხება მოწვეულ სპეციალისტს ირინა ბარბაქაძეს, მას ავტობიოგრაფიაში აქვს მითითებული რომ სწავლობს დოქტორანტურაში. წარმოგიდგინებ დოკუმენტს, რომ ის ნამდვილად ირიცხება ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტად და მიგვაჩნია, რომ ეს არ არის ხარვეზი და შეუსაბამობა პირად საქმეში.

ამასთან, 2013 წლის 17 მაისს დაწესებულებას გადმოეცა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებელზე. სადაც ექსპერტთა ჯგუფი (თავმჯდომარე დავით ბოსტოდანაშვილი) ადასტურებს რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის შერჩევას კონკურსის წესს: აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა დაწესებულების რექტორის N153 (19.10. 2012) ბრძანებით. საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 23 ნოემბრიდან. კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 10 დეკემბერი. საკონკურსო განცხადება გამოქვეყნდა 2012 წლის 22-28 ოქტომბრის გაზეთ „კვირის პალიტრაში“. რექტორის N154 ბრძანებით (2012 წლის 19 ოქტომბერი) დამტკიცდა საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2012 წლის 7 დეკემბერს. რექტორის 156 ბრძანებით (2012 წლის 10 დეკემბერი) დაინიშნა აკადემიური პერსონალი (სულ 47 პროფესორი: მათ შორის 13 პროფესორი, 26 ასოცირებული და 8 ასისტენტ-პროფესორი) და საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესის სრული დაცვით გაფორმდა არჩეულ აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები.

სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის არჩევა რომ მოხდა გამჭვირვალე კონკურსის გზით საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით ამ ფაქტს ადასტურებს 17.05.2013 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა (ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დავით ბოსტოდანაშვილი). ამ ფონზე სრულიად გაუგებარია რატომ უნდა გამოცხადებულიყო უნივერსიტეტის მიერ ახალი კონკურსი აკადემიური პერსონალის შესარჩევად და რატომ არ უნდა გაგრძელებულიყო უკვე არჩეულ აკადემიურ პერსონალთან შრომითი ურთიერთობები. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვადებს (4 წელი) და ახალი კონკურსების გამოცხადებას, სასწავლო უნივერსიტეტი ხელშეკრულებების ვადის გასვლის შემდეგ გამოაცხადებს ახალ კონკურსს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და კონკურსს ჩაატარებს კანონმდებლობის სრული დაცვით. (იხილეთ - დანართი 9 - 16.05.2013წ. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ასლი, გვ.23,24,25).

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ რაში მდგომარეობდა შენიშვნის არსი. ექსპერტმა თეა ნადირაძემ დამატებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის მიზანი იყო საქართველოს ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე მსოფლიო რელიგიების შესახებ ცოდნის გადაცემა. პროგრამით გათვალისწინებული საგნებიდან აღნიშნული მიზანი მიიღწეოდა 5 კრედიტიანი სასწავლო კურსით - "საქართველოს ისტორია, რელიგია და კულტურა". ექსპერტის მოსაზრებით, აღნიშნული მიზნის მიღწევა 5 კრედიტის ფარგლებში იყო შეუძლებელი. საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მისი აზრით, მოცემული საკითხის განხილვა იყო აკრედიტაციის საბჭოს კომპეტენცია. თეა ნადირაძის მოსაზრებით, აღნიშნული ხარვეზი იყო ავტორიზაციის საბჭოს განსჯადი საკითხი, ვინაიდან ავტორიზაციის ერთ-ერთი სტანდარტი პირდაპირ მოითხოვს, რომ დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროგრამით გათვალისწინებული მიზნები და შედეგები უნდა იყოს მიღწევადი. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესის მიზანია დაწესებულებამ დაადასტუროს საგანმანათლებლო საქმიანობის მზაობა. საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს კი წარმოადგენს შედეგების მიღწევა.

საბჭოს წევრი დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ სად გადიოდა მოცემულ შემთხვევაში ზღვარი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტები ითვალისწინებენ პროგრამის დარგობრივ, შინაარსობრივ შეფასებებს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იყო სახეზე. რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მისი აზრით, სადაო საკითხი მდგომარეობდა შემდეგში: პროგრამით გათვალისწინებული მიზანი მიიღწეოდა თუ არა იმ საგნებით, რომლებიც მოცემული იყო თავად ამ პროგრამაში. რევაზ აფხაზავამ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს იმის გაანალიზება მიიღწევა თუ არა კონკრეტული საგნით პროგრამის შედეგები. მისი აზრით, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა იყო აკრედიტაციის საბჭოს კომპეტენცია. რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, საბჭოს წევრებს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ადვილად დაედგინათ გადიოდა თუ არა ეს სასწავლო კურსი პროგრამით განსაზღვრულ შედეგებზე, თუმცა, თუ საუბარი იქნებოდა მაგალითად - ფიზიკის ან სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნებზე, მაშინ ავტორიზაციის საბჭოს გაუჭირდებოდა იმის დადგენა გადის თუ არა კონკრეტული საგანი პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებზე.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ 1.1 შენიშვნა არ ეხებოდა დარგობრივ კომპეტენციას. რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა ექსპერტს, რის საფუძველზე ამბობდა ის, რომ პროგრამით გათვალისწინებული შედეგი ვერ მიიღწეოდა. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ეს ჩანდა კონკრეტული საგნის სილაბუსით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მიზანი იყო საქართველოს ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე მსოფლიო რელიგიების შესახებ ცოდნის გადაცემა, შესაბამისად აღნიშნულ შემთხვევაში საუბარი არ ეხებოდა დარგობრივ კომპეტენციას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ჩანაწერი იყო ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანი. რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა აღნიშნულ პროგრამას სხვა მიზნები. თეა ნადირაძემ დაადასტურა, რომ ეს იყო პროგრამის ერთ-ერთი მიზანი და პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა გულისხმობდა სწორედ იმას, რომ პროგრამით გათვალისწინებული ყველა მიზანი უნდა მიიღწეოდეს პროგრამაზე თანდართული სილაბუსებით, რაც ამ შემთხვევაში ვერ დასტურდებოდა. თეა ნადირაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას ერთვოდა

დანართები, სადაც მოცემული იყო სასწავლო კურსის - "საქართველოს ისტორია, რელიგია და კულტურა" სილაბუსი. შესაბამისად, საბჭოს წევრებს თავად შეეძლოთ გადაემოწმებინათ აღნიშნული დოკუმენტი. თეა ნადირაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მისი მოსაზრებით, შეუძლებელია 5 კრედიტის ფარგლებში საქართველოს ისტორია, კულტურა და თანამედროვე მსოფლიო რელიგიები ისწავლებოდეს ისეთი ხარისხით, რომ აღნიშნულის შესახებ მითითებული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის და არა საგნის მიზანში.

რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა ექსპერტს, მიიღწეოდა თუ არა პროგრამით ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით განსაზღვრული მიზნები. საბჭოს წევრი დავით კიკალიაშვილი დაინტერესდა, აძლევდა თუ არა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა იმ დარგობრივ ცოდნას, რაც აუცილებელი იყო შედეგებზე გასასვლელად. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ როდესაც პროგრამის საერთო მიზანსა და შედეგში გამოტანილი იყო კონკრეტული საგნის მიზანი და შედეგი, ავტორიზაციის მიზნებისთვის არსებითია მიიღწევა თუ არა ეს მიზანი და შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ყველა მათგანს დაურიგდა ექსპერტთა დასკვნაზე დაწესებულების მიერ მომზადებული წერილობითი პოზიცია, რომელსაც ერთვოდა დანართები და №3 დანართში მოცემული იყო აღნიშნული საგნის სილაბუსი და თავად შეეძლოთ ენახათ შეესაბამებოდა თუ არა სასწავლო კურსის სათაური თემატიკას და მიიღწეოდა თუ არა პროგრამით გათვალისწინებული მიზანი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის ცოდნა, რაც მოეთხოვებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს, სილაბუსით მიიღწეოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული სილაბუსი წარმოადგენდა საუნივერსიტეტო მოდულის ერთ-ერთ საგანს და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში ასევე გათვალისწინებული იყო თავისუფალი მოდული, სადაც გათვალისწინებული იყო ორი სასწავლო კურსის - „სემინარი ძწინდა გრიგოლ ფერაძისა“ და „რელიგიათმცოდნეობის“ შესწავლა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რელიგიათმცოდნეობაში საკითხები ისწავლებოდა ეპოქების მიხედვით.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, თეა ნადირაძემ დამატებით განმარტა, რომ საგანში - ინფორმაციული ტექნოლოგიები, შეფასება ხდებოდა ტესტირებით, რაც იყო არალოგიკური. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მაგალითად საოფისე პროგრამების მუშაობის შეფასება ვერ განხორციელდებოდა ტესტირების მეშვეობით. თეა ნადირაძემ განმარტა, რომ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს პედაგოგი ტესტის მეშვეობით ვერ შეაფასებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ექსპერტის პოზისიას არ ეთანხმებოდა და აღნიშნულის მიზეზები განმარტებული იყო წარმოდგენილ წერილში. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა ექსპერტს კომუნიკაცია ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებთან. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს ყველა სტანდარტთან დაკავშირებით ჰქონდათ შეხვედრები დაწესებულების უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ვიზიტის პერიოდში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ საკითხზე ექსპერტს მათთვის კითხვით არ მიუმართავს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სილაბუსი წარმოდგენილი იყო დანართებში და საბჭოს წევრებს შეეძლოთ გადაემოწმებინათ, რომ მოცემულ საგანში გამოცდა ტარდებოდა ზეპირი ფორმით. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სილაბუსში წარმოდგენილი იყო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სადაც ცალკე იყო გამოყოფილი ის ცოდნა და უნარები რაც აღნიშნული კურსის დასრულების შემდგომ ექნებოდა სტუდენტს, მაგალითად: ეცოდინება ინტერნეტში, საოფისე პროგრამებში მუშაობა და სხვა. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით, ფასდებოდა ტესტირებით. ამასთან, ასევე ბუნდოვანი იყო დაწესებულების განმარტება იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ საგანში გამოცდა ტარდებოდა ზეპირი გამოკითხვით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მათ მოცემულ საკითხზე ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგთან გაიარეს კონსულტაცია და დაადგინეს, რომ ზეპირი გამოკითხვა გულისხმობდა სტუდენტისთვის პრაქტიკული დავალების მიცემასა და ამ დავალების კომპიუტერში შესრულებას. თეა ნადირაძემ განმარტა, რომ ეს იყო არა ზეპირი გამოცდა, არამედ პრაქტიკული დავალების შესრულება.

საბჭოს წევრი დავით კიკალეიშვილი დაეთანხმა ექსპერტის პოზიციას და აღნიშნა, რომ თუ რა იგულისხმებოდა დასკვნითი გამოცდის ბილეთებში და ზეპირ გამოკითხვაში დაწესებულებას, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, უფრო დეტალურად უნდა ჰქონოდა განსაზღვრული თუ რა ფორმით მოხდებოდა მათი ცოდნის შეფასება. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსების უმრავლესობაში შეფასების ფორმები იყო იდენტური. მისი შეხედულებით, სხვადასხვა საგნის დასკვნითი გამოცდები მოითხოვს შეფასების განსხვავებულ ფორმებს, მაგალითად - აკადემიურ წერაში ზეპირი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს სულ სხვას და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში - სხვას.

1.3 შენიშვნაზე თეა ნადირაძემ დამატებით აღნიშნა, რომ მაშინ როდესაც სასწავლო კვირათა რაოდენობა არის - 15, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა - მართლწერის საკითხების წესების სწავლება და სავარჯიშოების შესრულება, უნდა ისწავლებოდეს არა მე-13 კვირას, არამედ სწავლების დასაწყისში. საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუკი გრამატიკის საკითხები წარმოდგენილი წერილი მიხედვით ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე, მაშინ რატომ იყო საჭირო კვლავ მე-13 კვირას მართლწერის საკითხების სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამით გათვალისწინებული იყო საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, მე-13 კვირას ისწავლებოდა არა გრამატიკა, არამედ სამეცნიერო ნაშრომის პრინციპები და სტილი. რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, ნაშრომი შესაძლებელია აკმაყოფილებდეს აკადემიური წერის სტანდარტებს, თუმცა ვერ აკმაყოფილებდეს მართლწერის მოთხოვნებს.

1.4 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ პრეზენტაცია იყო ერთ-ერთი შეფასების ფორმა. აღნიშნულის დასადასტურებლად საბჭოს წევრებს შეეძლოთ ეხილათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დანართები. დავით კიკალეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენად შესაძლებელი იყო, რომ დასკვნის 1.4 პუნქტში აღნიშნულ საგნებში შეფასების ფორმად გამოეყენებინათ პრეზენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამაში, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო სასწავლო კურსის შეფასებისას ერთ-ერთ ფორმად გამოეყენებულა ყოფილიყო პრეზენტაცია. რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, პრეზენტაციის გაკეთება არ გულისხმობდა მხოლოდ სლაიდების მეშვეობით პრეზენტაციას. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსში არსად არ იყო განმარტებული, თუ რა იგულისხმებოდა პრეზენტაციაში. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ თუკი სტუდენტების შეფასება ხდებოდა მაგალითად - დაფაზე განტოლებების ამოხსნით, აღნიშნული გარკვევით უნდა ყოფილიყო გაწერილი სილაბუსში.

თეა ნადირაძემ საბჭოს წევრებს გააცნო პრეკალკულუსის სილაბუსი, სადაც მოცემული იყო, რომ შუალედური შეფასება ტარდება წერილით ფორმით, დასკვნითი გამოცდა ტარდება წერილით ფორმით, ტესტირებით. ტესტი მოიცავთ 20 შეკითხვას, ერთი სწორად გადაჭრილი კითხვა ფასდება 1 ქულით, შესაბამისად სახეზე იყო დახურული

სტილის ტესტირება. კალკულუსის სილაბუსშიც გამოიყენებოდა იგივე შეფასების მეთოდოლოგია. ავტორიზაციის ექსპერტმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი ბრძანება N3 "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად - კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.

1.4 შენიშვნაზე დავით კიკალეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რა იყო აღნიშნული ჩანაწერის მიზანი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა მოცემული ჩანაწერი საერთოდ არ ჰქონოდა ავტორიზაციის მამიბელ დაწესებულებას გაკეთებული, ვინაიდან კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონმდებლობა სტუდენტს ანიჭებდა უფლებას მოეთხოვა შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შუალედური კვალიფიკაციის მინიჭებისთვის დადგენილი შედეგები გაწერილი იყო კანონმდებლობით და ამიტომ არ მოხდა მათი გადმოტანა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამაში. თუკი სტუდენტი მოითხოვდა შუალედური კვალიფიკაციის მინიჭებას და იგი დააკმაყოფილებდა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს, მაშინ მას მიენიჭებოდა შუალედური კვალიფიკაცია.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება, პროგრამაში მიუთითებდა თუ არა შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან აღნიშნულ საკითხს არეგულირებდა კანონმდებლობა. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულება თავისივე პროგრამით განსაზღვრავს და აცნობს სტუდენტს, რომ მას შესაძლოა მიენიჭოს შუალედური კვალიფიკაცია და როდესაც საკვალიფიკაციო ჩარჩოში განსაზღვრულია შუალედური კვალიფიკაციის შედეგები 6 კომპეტენციის მიხედვით, მაშინ დაწესებულებას აუცილებლად უნდა ჰქონოდა გაწერილი პროგრამით ის შედეგები, რომელთა მიღწევის შემთხვევაშიც სტუდენტს მიენიჭება შუალედური კვალიფიკაცია. თუკი დავუშვებთ იმ ვარაუდს, რომ შუალედური კვალიფიკაციის შედეგები გაწერილია კვალიფიკაციათა ჩარჩოში, მაშინ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის შედეგებიც გაწერილია კანონმდებლობით და არ არის სავალდებულო მათი მითითება პროგრამაში.

დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, იქნებოდა თუ არა შენიშვნა იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა არ გაითვალისწინებდა შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას. თეა ნადირაძემ განმარტა, რომ თუ დაწესებულება იძლეოდა შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას და ეს განსაზღვრული იყო პროგრამით, მაშინ განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სტუდენტის მიერ შესასრულებელი კონკრეტული კომპონენტები, შედეგები და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა. თეა ნადირაძემ დამატებით აღნიშნა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, შუალედური კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა არსებობდეს 2 პირობა: სტუდენტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 120 კრედიტი და უნდა გადიოდეს იმ შედეგებზე, რაც საკვალიფიკაციო ჩარჩოთი შუალედური კვალიფიკაციისთვისაა დადგენილი. დავით კიკალეიშვილმა დაზუსტების მიზნით, კითხვით მიმართა ექსპერტს, ეს იყო რეკომენდაცია თუ შენიშვნა. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მან აღწერა ფაქტობრივი გარემოება და საბჭოს თავად უნდა ემსჯელა მოცემული საკითხი იყო შენიშვნა, თუ რეკომენდაცია.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სტუდენტი არ უნდა იყოს შეცდომაში შეყვანილი და უნდა მოხდეს შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების მექანიზმისა და შესაბამისი შედეგების დეტალური გაწერა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა მხოლოდ შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას და არსად არ ეწერა, რომ 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს აუცილებლად მიენიჭებოდა შუალედური კვალიფიკაცია. რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხს ჭირდებოდა რეგულაციის გაწერა. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ როდესაც პროგრამაშია გაწერილი შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა, დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონოდა შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების საერთო წესი.

1.6 პუნქტთან დაკავშირებით თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი პრობლემატური იყო ძალიან ბევრ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დავით კიკალეიშვილის მოსაზრებით, მოცემული საკითხი იყო სარეკომენდაციო ხასიათის. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ეს იყო საბჭოს პრეროგატივა, თუ რას მიიჩნევდა რეკომენდაციად, რჩევად ან შენიშვნად.

1.7 და 1.8 შენიშვნებთან დაკავშირებით დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ მოხდა ზოგადი კომპეტენციების გაწერა დარგობრივ კომპეტენციებად. რევაზ აფხაზავა დაინტერესდა იყო თუ არა გაწერილი ყველა დარგობრივი კომპეტენცია. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ დარგობრივი კომპეტენციები იყო გაწერილი, თუმცა დარგობრივი კომპეტენციები მოიცავდა ზოგადსაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში განსაზღვრული იყო ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს წევრებს გაცნობოდნენ წარმოდგენილ დანართებს. დავით კიკალეიშვილმა ადგილზე გადაამოწმა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა და აღნიშნა, რომ დარგობრივ კომპეტენციებში მოცემული იყო შემდეგი - აქვს შესაბამისი ცოდნა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე მსოფლიო რელიგიების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში გათვალისწინებული იყო 120 კრედიტი, რომელიც მოიცავდა ძირითად დარგობრივ საგნებს, ხოლო ტურიზმის, ფინანსებისა და მენეჯმენტის მოდულების მიზნები, შედეგები, კომპეტენციები გაწერილი იყო ცალკე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს მოცემულ საკითხზე შენიშვნა არ ჰქონდა დაფიქსირებული. დავით კიკალეიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტები დაწესებულებაში მყოფ წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით არ იყვნენ შეზღუდულები და მათ შეეძლოთ დამატებით გამოეკვლიათ ფაქტობრივი გარემოებები.

1.9 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ თამარ ჩიხლაძის პირად საქმეში იდო პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა. ავტორიზაციის ექსპერტმა ანა კლდიაშვილმა განმარტა, რომ ჩიხლაძის პირად საქმეში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიმდინარეობისას მსგავსი სახის დოკუმენტი არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული ინფორმაცია მოცემული იყო თ. ჩიხლაძის ავტობიოგრაფიაში. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა შესაბამისი დოკუმენტაცია. ანა კლდიაშვილმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე გადაამოწმების შედეგად დაადგინა, რომ ჩიხლაძე კითხულობდა გრამატიკას, ფონეტიკას, ლექსიკას, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიას. ანა კლდიაშვილის მოსაზრებით, წარმოდგენილი მასალებით ვერ დასტურდებოდა, რომ თამარ ჩიხლაძეს ჰქონდა - ანტიკური ლიტერატურის ისტორია და შუა

საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორიის სწავლების კომპეტენცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებდა ექსპერტის პოზიციას, ვინაიდან საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია მოიცავდა აღნიშნულ დისციპლინებს.

2.1 შენიშვნაზე რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მისი აზრით გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, გარკვეულწილად დაემთხვეოდა ერთწლიან სამოქმედო გეგმას. საბჭოს წევრებმა საკითხის სრულყოფილად გააზრები მიზნით, მოითხოვეს ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმების ადგილზე გადამოწმება. თეა ნადირაძემ განმარტა, რომ განვითარების გეგმები უნდა იძლეოდნენ იმის საშუალებას, რომ ექსპერტებმა რეალურად დაინახონ, თუ როგორ აქვს ინსტიტუციას გააზრებული თავისი სამომავლო საქმიანობა და გეგმები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორივე გეგმა დაწესებულების მიერ იყო გააზრებული და ორივე მათგანი შეესაბამებოდა დაწესებულების მისიასა და მიზნებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული გეგმები ითვალისწინებდნენ მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ექვსწლიან და ერთწლიან გეგმებში აქტივობების ნაწილი დაემთხვეს, თუმცა ორივე მათგანი ასევე უნდა ითვალისწინებდეს განსხვავებული გეგმების განხორციელებასაც.

3.1, 3.2 და 3.3 შენიშვნებთან დაკავშირებით, თეა ნადირაძემ დამატებით აღნიშნა, რომ მისი აზრით, მოცემული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის, ვინაიდან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ ადგენდა, რომ კადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. თეა ნადირაძემ საბჭოს წევრებს გააცნო 2012 წლის 4 დეკემბერის საკონკურსო კომისიის №1 და საკონკურსო კომისიის 7 დეკემბრის №2 ოქმები. თეა ნადირაძემ განმარტა, რომ საკონკურსო მასალებიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ ჩატარებული კონკურსი არ იყო სათანადოდ ჩატარებული, კერძოდ, ვერ სრულდებოდა ის მოთხოვნები, რომელიც დადგენილი ჰქონდა თავად ინსტიტუციას. შესაბამისად, თეა ნადირაძის მოსაზრებით ჩატარებული კონკურსი ვერ აკმაყოფილებდა გამჭვირვალობის პრინციპს.

დავით კიკალეიშვილმა დაზუსტების მიზნით მიმართა ექსპერტს, სხვაობა რექტორის ბრძანებასა და გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობას შორის იყო ის, რომ გაზეთში მოთხოვნილი იყო ელექტრონული სილაბუსი და ბრძანებაში ნაბეჭდი/ელექტრონული; ბრძანებით მოთხოვნილი იყო საკონკურსო განცხადება, გაზეთით კი - არა. თეა ნადირაძემ დაამატა, რომ აკადემიური პერსონალის პირად საქმეებში არ იღო სილაბუსები, რომელიც კონკურსის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით უნდა შეფასდეს განმცხადებელი. თეა ნადირაძემ ასევე აღნიშნა, რომ საკონკურსო განაცხადებში არ იყო მითითებული თუ რომელ მიმართულებაზე ჰქონდათ შემოტანილი განაცხადი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ განსხვავება ბრძანებასა და გაზეთში გამოქვეყნებულ ტექსტს შორის იყო მხოლოდ პუნქტუაციური ხასიათის, კერძოდ ერთგან ეწერა ფრჩხილი, მეორეგან - დროზ ხაზი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხარული იყო, რომ სხდომას ესწრებოდა ექსპერტი დავით ბოსტოლანაშვილი, რომელმაც 2013 წელს განახორციელა საავტორიზაციო ვიზიტი და ვიზიტის შედეგად, აკადემიური პერსონალის ნაწილში ექსპერტებს შენიშვნა არ ჰქონდათ დაფიქსირებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად საუბარი იყო იგივე კონკურსზე და აკადემიურ პერსონალზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი ყველა სილაბუსი იყო ადგილზე, თუმცა ისინი ინახებოდა სხვა ბაინდერებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან წინა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ აღნიშნული კონკურსი იყო უკვე შემოწმებული, დაწესებულებამ აღარ მიაწოდა აღნიშნული ბაინდერი ექსპერტებს, რაც მისი მოსაზრებით იყო კომუნიკაციის ნაკლებობის ბრალი.

საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განცხადებები კონკურსანტების მიერ ივსებოდა ადგილზე და ამიტომ არ იყო მითითებული საგაზეთო პუბლიკაციაში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალი. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული დოკუმენტაცია დეტალურად ჰქონდა ნანახი წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს.

დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო მითითებული განაცხადში მიმართულება. დავით კიკალეიშვილმა აღნიშნა, რომ ლოგიკურად საკონკურსო კომისია წარმოდგენილი მასალების მიხედვით მიხვდებოდა, თუ რომელ მიმართულებაზე აკეთებდა განაცხადს განმცხადებელი. თუა ნადირაძემ აღნიშნა, რომ განაცხადი ეს არის ნება, რომელსაც გამოხატავდა განმცხადებელი თავისი ხელმოწერით. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტები ზეპირსიტყვიერად ვერ ივარაუდებდნენ, თუ რომელ მიმართულებაზე სურდა ან რომელ მიმართულებაზე ჰქონდა განაცხადი გაკეთებული განმცხადებელს. დავით კიკალეიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული საკითხის გარკვევა საკონკურსო კომისიას ან ექსპერტთა ჯგუფს შეეძლო საკონკურსოდ წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით. თუა ნადირაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტთა პირად საქმეებში სილაბუსები არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ აღნიშნა, რომ სილაბუსები ინახებოდა სხვა ბაინდერში.

თუა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობის დროს ექსპერტებმა არაერთხელ თხოვეს დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ წარმოედგინათ კონკურსთან დაკავშირებული ყველა მასალა. რევაზ აფხაზავა დაინტერესდა იყო თუ არა ვიზიტის დროს წარმოდგენილი განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალი. რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ რეგისტრაციის ჟურნალში მითითებული იყო, თუ რომელ მიმართულებაზე შეჰქონდა პირს განცხადება. თუა ნადირაძემ აღნიშნა, რომ პირი, როდესაც საკუთარი ხელით წერს განცხადებას, თვითონვე უნდა მიუთითოს ამავე განცხადებაში, თუ რომელ მიმართულებაზე აკეთებს განაცხადს, წინააღმდეგ შემთხვევაში გართულდება იმის დადგენა, რეალურად გამოხატა თუ არა პირმა ნება კონკრეტული მიმართულებით დაიკავოს აკადემიური თანამდებობა. თუა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ასახეს ის რეალობა, რაც იყო დაწესებულებაში.

სილაბუსებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ განმარტა, რომ ვინაიდან წინა ექსპერტთა ჯგუფმა ნახა საკონკურსო მასალები, მათ შორის სილაბუსები, დაწესებულებამ აღნიშნული სილაბუსები შეინახა სხვა ბაინდერში. თუკი, ექსპერტებს სურდათ მათი ნახვა, შეეძლოთ მოეთხოვათ და დაწესებულების წარმომადგენელი უზრუნველყოდა მათ მიწოდებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი მოსაზრებით, ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებისთვის სრულყოფილად ჰქონდათ მიწოდებული საკონკურსო მასალები.

დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო განსაზღვრული ის კრიტერიუმები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილეს კონკურსანტებმა და რა საფუძვლით ეთქვათ მათ უარი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისია

შედგებოდა კომპეტენტური ადამიანებისგან და მათ, შესაძლოა არ ჩათვალეს საჭიროდ დაეკონკრეტებინათ აღნიშნული კრიტერიუმები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკურსის შედეგები არავის მიერ სადაოდ არ გამხდარა. დავით კიკაღიშვილის მოსაზრებით, თუკი დაწუნებული კონკურსანტი სადაოდ გახდოდა მოცემულ საკითხს, მაშინ დაწესებულებას უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ მიანიჭეს მასთან შედარებით უპირატესობა სხვა კონკურსანტებს, კერძოდ უნდა განემარტა, თუ რომელ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნული პირი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულის თაობაზე ეწერა ოქმში. საბჭოს წევრებმა ადგილზე გადაამოწმეს 7 დეკემბრის აკადემიური საბჭოს №3 ოქმი, სადაც არაფერი იყო ნათქვამი, თუ რომელი კრიტერიუმები არ დააკმაყოფილეს არარეკომენდირებულმა პირებმა და რა საფუძვლით ეთქვათ მათ უარი.

შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ კონკურსი ჩატარებულია 2012 წლის დეკემბერში, შესაბამისად, არჩეულ პირებს აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა ეწურებათ 2016 წელს. მიუხედავად შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ნებისა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ 4 წლის ვადის გასვლის შემდეგ უნდა ჩატარდეს ახალი კონკურსი. აღნიშნულის გათვალისწინებით საბაკალავრო პროგრამები, აკადემიური პერსონალით, მთელი ციკლის განმავლობაში არ არის უზრუნველყოფილი. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მან ამ შემთხვევაში აღწერა ფაქტობრივი გარემოება და საბჭოს უნდა ემსჯელა იყო თუ არა ეს შენიშვნა და სტანდარტის დარღვევა. დავით კიკაღიშვილის მოსაზრებით, თუკი აღნიშნულ ფაქტობრივ მდგომარეობას ჩათვლიდნენ ისინი ხარვეზად, მაშინ დაწესებულებებს ყოველწლიურად უნდა ეტარებინათ ახალ-ახალი კონკურსები, რათა პროგრამა 4 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი ყოფილიყო შესაბამისი ადამიანური რესურსით. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები ისე უნდა იყოს გაფორმებული, რომ უზრუნველყოფდეს პროგრამის ერთიან, უწყვეტ ციკლს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ლიცენზირებულ რეჟიმში ახორციელებდა სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებს. აღნიშნულ პროგრამებს ახორციელებდნენ მოცემული კონკურსით აყვანილი კადრები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც აკადემიურ პერსონალს ამოეწურებოდა თანამდებობის დაკავების ვადა, უზრუნველყოფილი იქნებოდა ახალი კონკურსის კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარება.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს არ ევალუბოდათ ლიცენზირებულ რეჟიმში არსებული პროგრამების შემოწმება, შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ რომელი აკადემიური პერსონალი ახორციელებდა ამ პროგრამებს. დავით კიკაღიშვილის მოსაზრებით, აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენდა შენიშვნას, რადგან დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში, 2012 წელს ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, 4 წლის ვადით გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულებები და ვადის ამოწურვამდე კვლავ ჩატარებდა კონკურსს. დავით კიკაღიშვილის მოსაზრებით, როდესაც 4 წლის ვადით არჩეულ იქნა კონკრეტული პირი თანამდებობაზე, მისი ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა მას შემდგომ, როდესაც დაიწყებოდა პროგრამის განხორციელება. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში პროგრამის დაწყების ათვლის წერტილის განსაზღვრა იყო ძალიან რთული, იმიტომ რომ კონკურსი ჩატარებული იყო 2012 წელს. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას კონკურსი უნდა ჩატარებინა არა ავტორიზაციის მიღებიდან ან პროგრამის ამოქმედებიდან 4 წლის შემდეგ, არამედ 2016 წელს. დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას.

დავით კიკაღიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, რომელი იყო მისი აზრით არსებითი ხატიათის შენიშვნები. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, არებითი ხასიათის შენიშვნები ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებსა და ადამიანურ რესურსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთიდაიგივე კონკურსზე სხვადასხვა ექსპერტთა ჯგუფების მხრიდან არსებობდა არაერთგვაროვანი მოსაზრება და საბჭოს უნდა მიეღო აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. დავით კიკაღიშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ექსპერტები არ იყვნენ შეზღუდულები ერთმანეთის დასკვნებით, შესაბამისად - არც საბჭო.

სხდომაზე 20:25 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:55 საათზე.

დავით კიკაღიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების საკითხზე და დაადგინეს, რომ შენიშვნების ნაწილი იყო არაარსებითი ხასიათის, ასევე შენიშვნების ნაწილი საბჭოს მხრიდან არ იქნა გაზიარებული. მიუხედავად ამისა, საბჭომ მიიჩნია, რომ დასკვნაში არსებული ზოგიერთი შენიშვნა იყო არსებითი ხასიათის. დავით კიკაღიშვილმა აღნიშნა, რომ მაგალითისთვის დაასახელებდა რამოდენიმე მათგანს, კერძოდ არსებითი ხასიათის იყო - 1.5 პუნქტში დაფიქსირებული შენიშვნა, რომელიც ეხებოდა შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს; 1.9 პუნქტი, რომელიც ეხებოდა თამარ ჩიხლაძის კვალიფიკაციას და საბჭოს მიიჩნია, რომ მას არ ჰქონდა სათანადო კვალიფიკაცია, რომ ესწავლებინა ანტიკური ლიტერატურის ან შუა საუკუნეების აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია. ასევე მნიშვნელოვანი იყო აკადემიური პერსონალის არჩევის პროცედურებთან დაკავშირებული შენიშვნა, კერძოდ ის, რომ ოქმში არ იყო მითითებული, თუ რომელი კრიტერიუმები არ დააკმაყოფილეს არარეკომენდირებულმა პირებმა და რა საფუძვლით ეთქვათ მათ უარი. შესაბამისად, ოქმში დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი აღნიშნული საკითხები. მიუხედავად ამისა, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწესებულებას მიენიჭოს ავტორიზაცია და ეთხოვოს ცენტრის მონიტორინგის სამსახურს, ავტორიზაციის პირობების, სტანდარტების შესრულების მონიტორინგის მიზნით, 1 თვის ვადაში განახორციელოს ვიზიტი შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს მდივანმა - ანა ბახტურიძემ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200008650) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 22:00 საათზე, სხდომა დახურულად გამოცხადდა

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე

ს

